140
1940 ½

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პიონერი

1940 წ.

№ 6

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ამა წლის 22 ივნისს შესრულდა ასი წელი საქართველოს დიდი ლირიკოსის, საუკარელი ქართველი მგოსნის, აკაკი როსტომის-ძე წერეთლის დაბადებიდან.

ჩვენი ჟურნალის ეს ნომერი მთლიანად ეძღვნება ამ სახელოვან იუბილარს.

რედაქცია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძველ სამეფოს

...ნუთუ ჯერ ვერ შეგინიშნავს,
ის ვარსკვლავი როგორ ბრწყინავს?
შენი არის!.. მიდს გექადის!
მიეგებე, ნუღა გძინავს!..
მოემზადე, ახალი დრო
შესამკობლად გვირგვინს გიწნავს!

(1863 წ.)

აკაკი წერეთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ მოხუცებულ ბრძენს მეფემ შვილი მიაბარა, როგორც ამის გვარიშვილობას შეჰფეროდეს, ისე გამიზარდეო. მოძღვარი ბევრს ეცადა, მაგრამ უნიჭო მოწაფეს ვერა შეასმინა რა. რომ დავაკაცდა ის უფლისწული, მამამ შემოუთვალა გამზრდელს: მოდი და ჩემი შვილი მომგვარეო. გამზრდელმა გაზრდილს დაუძახა, გადასცა მამის სურვილი, გამოაწყო მგზავრად და წაიყვანა. გზაში ასე უთხრა: შვილო, ჩემ სახლში, რაც შემეძლო, წრთვნა შენთვის არ მომიკლია და სანამ მამასავე არ ჩაგაბარებ, არც გზაში მოგიშლიო. უკანასკნელად კიდევ მოგცემ დარიგებას, მერე შენ იცი: დაუჯერებელს ნუ დაიჯერებო; სადაც არ მისწვდეო, იქით ხელს ნუ გაიშვერო; გადასულ საქმეს ნუ ინანებო; გზაზე რომ მიდიოდე, განზე ყურებას ნუ დაიწყებ, წინ დაიხედეო; ბრიყვისაგან ნურა გეწყინება რაო; ავზე ნუ აჩქარდები და კარგზე ნუ გვიანობო!

დაარიგა და გაუდგნენ გზას. გზაზე მოწაფემ ჩიტი დაიჭირა და ჩაისვა უბეში.

— რად გინდა ეგ ჩიტი, ცოდოა, გაუშვიო, — უთხრა მოძღვარმა და მოწაფემაც დაუჯერა და გაუშვა. —ოჰ, ეგ რა ჰქენ! როგორ გაბრიყვდი, რომ ბეღი ხელიდან გაუშვიო?! — მიაყვირა მოხუცმა ყმაწვილს. — ეგ უბრალო ჩიტი კი ნუ გგონია, კუჭში ბატის კვერცხის ხელა მარგალიტი უძევსო!

შეწუხდა უფლისწული, გამოუდგა ისევ დასაჭერად ჩიტს. ბატარა ჩიტი ხეზე შეფრინდა, ერთი შტოდან მეორეზე გადადიოდა, ის კი ხელს უშვერდა და ვერ იჭერდა. ბოლოს სულ გაფრინდა ჩიტი. ყმაწვილმა ტირილი დაიწყო. მოხუცმა უთხრა: აგრე იმარხავ შენ ჩემ დარიგებასო? აკი გითხარი, რომ დაუჯერებელს ნუ დაიჯერებო: ეგ ჩიტი რომ თითონ არ იყო ქათმის ხელა, ბატის კვირცხის ოდენა მარგალიტი "კუჭში" როგორ დაიტეოდაო? რასაც ხელი არ მიგიწვდებოდა, რიღასთვის აშვერდი, განა? გაფრენილი ჩიტის დაჭერა მოსახერხებელიაო? და მართლაც რომ ყოფილიყო, წარსულ საქმეს ტირილით როგორღა გამოაბრუნებდი, რაც თავს არ შეიწუხებდი უბრალოდ? არ გითხარ, რომ წარსულ საქმეს ნუ ინანებო?! — შერცხვა ყმაწვილს და გაჰყვა მოხუცს თავჩაღუნული. დიდი იარეს, პატარი იარეს, შეეიდნენ ერთ სოფელში და გაჰყვნენ შუკას. შუკის პირად გადაღმა-გადმოღმა მოსახლეები იდგნენ. უფლისწულმა აქეთი-იქეთ თვალიერება დაიწყო, უცბად ფეხი ქვას წამოსდო და ძირს დაეცა. აქ შორიახლოს ჩრდილში ერთი ვიღაც საპაარი ეგდო და სიცილი აიტეხა. უფლისწულს გული მოუვიდა და შეუტია გასალახავად. ბრძენმა ხელი მოჰკიდა, შეაჩერა და უთხრა: რად დაივიწყე ჩემი დარიგებაო? სიარულის დროს რად იხედებიო? ის კაცი საპაარია, ვერაოდეს ვერ წამოდგება, ძირსა გდია, შენ კი უცბად წაიქეცი, მაგრამ იმავე წამს ზეზე წამოდექი და ის კი სიცილს გაყრისო. ბრიყვი თუ არ იყოს, ამას როგორ იზამდა და ბრიყვისაგან რათ რამე გეწყინაო? და საკვმად რომ არ მიგეშურებია იმ საპაყარისათვის, განა გაგექცეოდაო?

შერცხვა კიდევ უფლისწულს, გაჰყვა თან. სოფლის ბოლოში რომ მივიდნენ, იქაც კიდევ ერთი საპაყარი დაუხვდათ, მოწყალებას ითხოვდა.

— არიქა, გაიქეცი და მალე მიეცი სამოწყალო, ურჩია მოძღვარმა. მოწაფემ გაიცინა: ეს იმისთანა საპაყარი არ არის, სად გამექცევაო?

— იქ სხვა იყო და აქ სხვა არისო, — მიუგო მოძღვარმა, — იქ ცუდ საქმეზე მიდიოდი და აქ კი კარგზე გაგზავნიო! აკი გირჩიე, ცუდზე ნუ აჩქარდები და კარგზე ნუ დაიგვიანებო.

წავიდნენ კიდევ. მივიდნენ ერთ ტყის პირას. გადაუხვია ტყეში მოხუცმა, გამოჭრა ჯოხი და დაიბჯინა, ყმაწვილს უთხრა: თუ გინდა, რომ არ დაიღალო, შედი ტყეში და მომხმარე იშოვეო. ისიც შეიდა ტყეში, ბევრი იარა, მაგრამ ვერავინ ნახა, გამოვიდა ისევ ხელცარიელი.

სასახლის კარს რომ მიუახლოვდნენ, უფლისწულმა სთქვა:

— მე ძლივს მოვათრევ ფეხებს და შენ კი დაღალვა არ დაგტყობიაო!

—მე მომხმარე ვიშოვნე ტყეში და შენ კი ვერაო,
— აბა სად არისო!

— აი ეს არისო,—უჩვენა მოხუცმა ჯოხი.

ამით გათავდა მათი საუბარი. მივიდნენ სასახლეში. მეფემ ნახა თავისი შვილი, აათვალ-ჩაათვალიერა, გამოჰკითხა ბევრი რამ და ჰკუა რომ ვერ შეატყო, გაჯავრდა მოხუცზე: არაფერი არ უსწავლებიათ ჩემი შვილისთვისაო.

ბრძენმა მოახსენა მეფეს: ერთი სათქმელი მაქვს, ის მომისმინეთ და მერე შემრისხეთო; ერთი კაცი მომგვარეს სტუმრად სახლში. მე ვერ მივიღე, რომ უნდოდა ისე, რადგანაც ბინა არა მქონდა, მწყრალადაც დავუზვდი, სტუმარიც გაჯავრდა და წავიდა, აღარ დადგა ჩემ სახლში და მომყვანს ბინალი რამ აქვს თუ არაო?

მეფემ ბრძანა:

— მომყვანს რა ექნა, ეგ მასპინძლის ბრალია, რომ კარგად ვერ მიუღია და ბინა არ ჰქონიაო.

— მაშ, მე რაღათ მიწყრებით, დიდებულო მეფეო,—მიუგო ბრძენმა: სწავლა და მეცნიერება სტუმარია, ჰკუა კი მასპინძელი, და თუ თავში ჰკუა მწყრალად არის, აღარც ისინი მოიცდიანო, მე ისინი მოვგვარე ამ თქვენ შვილს, მაგრამ მაგას რომ ბინა არ ჰქონდეს მათთვის და ვერ მიიღოს, ჩემი რა ბრალიაო? განა არ მოგეხსენებათ ანდაზა: „რა გიყო, ძმაო თარხანო, თუ კი ჰკუაზე თხლად ხარო“.

გაზაფხული



დღეს მერცხალი შემოფრინდა, —
ჭიკჭიკითა გადმომძახა:
„გაზაფხული! გაზაფხული!“
გულს იმედი დამესახა.

მივდექ სარკმელს, გადვიხედე,
არემარე მესხვაფერა! —
სასოებამ ფრთა გაშალა,
გულსა მკრა და ამიძგერა!

სუნი მეცა გაზაფხულის,
უცნაური ვიგრძენ ძალი...
ვსთქვი, თუ: „გულსა რაღად ვიტეხ?
ახლოს არის მომავალი!

„მოვესწრები, რაც მინდოდა
ზამთრისაგან დაჩაგრულსა:
ვნახავ ქორწილს ბუნებისას,
გავიგონებ მის მაყრულსა.

„დავყნოს ვარდსა გადაშლილსა,
ვუპვრეტ ნაზად დახრილ იას
და ბულბულიც გამაგონებს
მისებურად „ტია, ტიას!“

1881 წ.

დიდი ბაბუა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემო კარგებო!

აკაკი წერეთლის სახელი მუდამ საყვარელი სახელი იყო ჩვენწი.

ის უყვარდა დიდსაც და პატარასაც.

უყვართ დღესაც.

ეყვარებათ მომავალშიაც.

და, რასაკვირველია, მარტო სახელისათვის კი არ უყვართ დიდი აკაკი, არამედ იმიტომ, რომ ეს კაცი დიდი მოამაგეა, დიდი მოჭირნახულე თავის ქვეყნისა, დიდი პოეტი.

დიდებმა იცოდნენ, რომ აკაკი მათი გულისნადების გამომთქმელი იყო, მათი ცხოვრების სწორ-უტყუარი ამსახველი. ბავშვებს კი უყვარდათ იმიტომ, რომ არავინ არ იცოდა ბავშვებთან ისეთი ტკბილი და სასარგებლო საუბარი, როგორც აკაკიმ.

პირველ შეხვედრისთანავე ის გაუმინაურდებოდა ბავშს, რაგინდ დარცხვენილი და მოკრძალებული ბავშვიც არ უნდა ყოფილიყო, ბავშვი მასთან ორი სიტყვის შემდეგ თავს თავისუფლად გრძნობდა და თამამად ეტიტინებოდა ამ დიდ ბაბუას.

ეს ბაბუა კი, ბამბის ქულასავით თმათეთრი და პირმცინარი ბაბუა, ხალისით უამბობდა ნორჩ მეგობრებს მომხიბლავ ზღაპრებს, გმირულ ამბებს საქართველოს წარსულიდან, ანდაზებს, ზმებს, ჩქარა გამოსათქმელებს ანუ ენის გასატეხს, და ბავშვებთან ერთად გულიანად ხითხითებდა.

მეც მახსოვს ჩემი ბავშვობის დროს აკაკის მიერ თქმული ზმა:

„ჯამბა **კურ დღე ლილას** იღებს,
ღამ-ღამობით ღებავს შალსო...“

პირველად ვერ მიეხვდი, მაგრამ მეორეჯერ რომ გამიმეორა, უცბად წამოვიძახე: „კურდღელი“ — მეთქი. ამაზე გაიღიმა და შემდეგ ასეთ ენის გასატეხზე მამტვრევინა თავი. ეს თქვენც გეცოდინებათ, მაგრამ მე ერთხელ კიდევ მოგახსენებთ:

„კურდღელო! რას გამოგიციცუნ-კატუნ-ყურებ-ყავარჯანიანებია ეგ თავი? მოვალ, ყავარჯენს დაგარტყამ, კიდევ უფრო გამოგაციცუნ-კატუნ-ყურებ-ყავარჯანიანებ მაგ თაეს“. ამან საქმე ძალზე გამეჯირვა და საყვარელმა აკაკიმ ბევრი იხითხითა.

მისი მოსვლა ჩვენს ოჯახში ხომ მთელი ზეიმი იყო.

ეს დიდი ბაბუა თითქოს ხელ-ჯინავსილი ამბებით მოვიდოდა ჩვენთან: რას არ ამოალაგებდა მისი მდიდარი ფანტაზიიდან, რა სასაცილოს და ზოგჯერ რა გულისმომწყვლელ ამბებს ჩვენი წარსულიდან. ჩემი ბავშვური გონება უფიქრდებოდა მის ნაამბობს, მის ნაწერებს და ხშირად მოურევნელი სურვილი მომსვლია, მეც დავმსგავსებოდი იმ ახოვან გმირებს, რომლებიც სამშობლოსათვის ეგრე თავგანწირვით იბრძოდნენ.

მან ბავშვობიდანვე ჩამინერგა საუკეთესო, ადამიანური მისწრაფებანი: დაჩაგრულთა სიყვარული, მეგობრობა, სამშობლოსათვის, ხალხისათვის თავისდადება და ბრძოლა ყოველგვარი ძალმომრეობის წინააღმდეგ.

და განა მარტო მე...

მთელი თაობა აღიზარდა აკაკის ნაწერებზე.

დღეს, როდესაც დიდი სტალინის კაშკაშა მზე ასე უხვად ანათებს ჩვენს ქვეყანას, კიდევ უფრო გვმართებს შევიყვაროთ ეს დიდი ბაბუა, რომელმაც მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე შესწირა მის დროს პოლიტიკურად დამონებული და ეკონომიურად დაჩაგრული ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლას.

აკაკი წერეთელს ხელში უჭირავს გოგუცა კუპრაშვილი.

დღეს ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ხალხი ლაღია და თავისუფალი. ამიტომ კიდევ უფრო გვმართებს ამ ქვეყნის სიყვარული, მისთვის შრომა, მისთვის სიცოცხლე და იმავე დროს მადლობითა და სიყვარულით მოხსენიება იმ დიდი ბაბუას სახელისა, რომელიც გამოთქმება ორი სიტყვით: აკაკი წერეთელი.

აკაკი წერეთელის ბავშობა და ყრმობა

(ნაწყვეტი პოემიდან)

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა უხეში, რა ცბიერი იყო გიმნაზიის ჭერი,
ყველა ადამიანური ღირსების და სახის მტერი.

რა სიბნელე, რა წყვდიადი იყო განათლება მათი,
იმ ხანებში წიგნი მაინც იყო მეტად იშვიათი.

და ახშობდნენ მათ გაგებას, ვინც უხვევდა ქადაგებას
და ბედავდა მშობლიური ენით დალაპარაკებას.

იყო მტრობა, იყო შური, დევნა მგლური და ველური,
ღელდებოდა, შფოთდებოდა მაშინ სული ქართველური.

რარიგ ძნელი, რარიგ მძიმე იყო მისთვის სკოლის მღვიმე,
გიმნაზიის ბოლომდის კი თვე რჩებოდა რამდენიმე.

მაშინ ყრმამან გაიგონა საუბარი, თუ ვით მონა
გამოეხიზღდა და გულმკერდში იარაღი ჩაიკონა.

გაიგონა, თუ ვინ მისცა პოლონელებს ნატვრა მზისა
და აღბები საფრანგეთის ღელვის, რევოლუციისა.

სწორედ ის დრო იყო, ოდეს ყრმისა გულში, მსგავსად შფოთის,—
ხმით შეიჭრა ისტორია დიდი კონრად ვალენროდის.

ვალენროდის წრფელი გული, ვალენროდის დიდი სული,—
აღაგზნებდა ეს სახელი და ეს გმირი ეროვნული.

მის პოეტურ წარმოდგენას, არ აძლევდა ჟამი თმენას,
იგი მოაჯადოებდა, ის აძლევდა აღმაფრენას.

ვალენროდად, გმირად მართლად, მოვლენილად ჩვენად — ქართველად,
რად არ უნდა გამხდარიყო წერეთელიც მთავარსარდლად?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი სიყრმის ლექსები

აკაკის ძლიერ ჰყვარებია, როცა სოფლის მოზრდილი ბიჭები ან მისი ფარეშები გაშაირებას დაიწყებდნენ. ყურს დაუგდებდა მათ, შემდეგ თვითონაც ჩაერეოდა შაირობაში. ცხელ-ცხელი შაირების გამოთქმა პატარა აკაკის ჩინებულად ეხერხებოდა, ყველას სჯობნიდა. არ დარჩენილა სასახლეში არავინ, ვიზედაც მას რაიმე არ გამოეთქვას. აი რა გამოუთქვა მან ხაბაზს:

„— შენი გამომცხვარი პური,
ლავაში და მურასაო,
ადამიანს არ ეჭმება,
გადაუგდე მურასაო...“

შინაყმა თომა სადუნიშვილს:

„— ყვაო, ყვაო, ყვანჩალაო,
ჩამოგივლია ქალაო,
თუ შეიტყვე, როდის მოვა
ჩვენი თომა ქაჩალაო...

მემარნეს:

„— ხელოსანი მარანშია,
ღვინოს იღებს ხაპითაო,
ჭურის თავზე იბრუქება,
სხვებს კი ასმევს ყლაპითაო“...

მოურავზე:

„— ბეღელს თაგვი შეჩვევია
ხრავს, თუ რაც სახრავიაო,
მაგრამ თვითონ დიდი თაგვი
თვითონ მოურავიაო“...

ამგვარ შაირებს პატარა აკაკი ბევრს თხზავდა ზეპირად (წერა ჯერ არ იცოდა), მაგრამ ისინი ჩვენამდის არ მოსულა.

საგულისხმოა განსაკუთრებით ის ლექსი, რომელიც თორმეტი წლის აკაკის სასახლის მშვენიერ ბაღჩაში ფიცარზე საკუთარი ხელით დაუწერია:

„ერთგულება ოჯახისა მრავალ კეთილს გააჩენსა,
კლდესა შრომით მიწას შეიქმნს, უთევზო წყალს თევზს აჩენსა,
არად შერაცხს შრომა ტანჯვას საბოლოოდ მოსალხენსა“...
და სხვა.

აკაკი 10 წლის იყო, როცა დაიწყო სცენების წერა. სცენებში უმთავრესად გამოჰყავდა ბიჭები, რომლებიც მუდამ ცუღლუტობდნენ და ერთმანეთს აბეზღებდნენ ბატონთან. მისი პიესების მთავარ გმირს წარმოადგენდა აგრეთვე მოურავიც, რომელიც მას ყოველთვის გაიძვერად და მატყუარად გამოჰყავდა.

აკაკის ბავშვობის ლექსებშივე მძლავრად გამოსჭვივის სატირისა და ჰუმორის ელემენტები. გესლიანი და ენამწარე იგი ბავშვობაშიც ყოფილა. ამიტომაც უთქვამთ მასზე: ეს ბავშვი მალე მთელ ქვეყანას გადაიმტერებსო, მაგრამ პირიქით კი მოხდა: მართლის მთქმელმა მგოსანმა მალე დაიმსახურა თავისი ხალხის ღრმა სიყვარული.

აკაკის სახლი სოფელ სხვიტორში.

ერთ ლიტერატურულ საღამოზე

ლადო გზვანელი

(დამსახ. მასწავლებელი)

დიდ ლირიკოსს აკაკი წერეთელს მეტად ემარჯვებოდა სატირითა და იგავთქმით გამოსვლა მეფის მთავრობის ლაქიების გასანიავებლად. არ მახსოვს, რომელ წელს იყო, აკაკი ერთ-ერთ სალიტერატურო საღამოზე იყო თბილისში მიწვეული.

გამოჩნდა საყვარელი მგოსანი სცენაზე თუ არა, ტაშისცემას და ვაშას შეძახილს საზღვარი არ ჰქონდა. აკაკიმ წარმოთქვა ლექსი, რომელმაც დიდი აღტაცება გამოიწვია... ტაშისცემა დიდხანს გაგრძელდა... მგოსანს კიდევ იწვევდნენ და გაიძახოდნენ „ბის“... აკაკი გამოჩნდა მეორეჯერ და კიდევ უკეთესი სატირული ლექსი წაიკითხა...

ამ დროს მან თეატრის კარებთან თვალი მოჰკრა „საადმინისტრაციო სკამზე“ პოლიციის ბოქაულს. (პოლიციელები მორიგეობით ესწრებოდნენ ასეთ საღამოებს, რათა არავის არ წარმოთქვა მთავრობის საწინააღმდეგო რამე). აკაკი გავიდა სცენიდან...

ატყდა ისევ ტაშისცემა და არ დამთავრდა, სანამ აკაკი მესამეჯერ არ გამოჩნდა სცენაზე. გადაავლო თვალი კიდევ საზოგადოებას, ცეტახანს შეჩერდა და როდესაც შეწყდა ტაშისცემა, აკაკიმ ექსპრომტად თქვა:

„კმარა, კმარა,
გავიუმდები, თვარა
ბევრი ჩემისთანა
ზოოსა გაემგზავრა...
თუ რამე ვსთქვი მეტი,
აქ მომხვდება კეტი
და თქვენ იტყვით მაშინ:
„ბიეი იყო, ცეტი!“
არა! არა! არა!
რაც ვსთქვი, ისიც კმარა,
თორემ, ვიცი, დამერქმევა
ბოლოს „მეტჩარა“.

ამ ლექსის თქმის შემდეგ აკაკი მართლაც აღარ გამოვიდა სცენაზე.

მაინც უდიპლომოდ

სოღომონ ცაიშვილი

სამხედრო სამსახურში შესვლით გატაცებულ აკაკის გიმნაზია არ დაუმთავრებია. გაუტანია რა საჭირო მოწმობები 1859 წლის 23 თებერვალს, გიმნაზიის მეშვიდე კლასიდან პირდაპირ პეტერბურგისაკენ გამგზავრებულა, მაგრამ აქ თავმოყრილ სტუდენტებს, რომელთა შორის იყვნენ ილია ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე, კ. ლორთქიფანიძე და სხვები, აკაკისათვის პირვანდელი გადაწყვეტილება შეუცვლევინებიათ და პოეტიც 1859 წ. უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ენათა ფაკულტეტზე ჩარიცხულა თავისუფალ მსმენელად, რადგანაც გიმნაზია დამთავრებული არ ჰქონდა.

თავისუფალ მსმენელთათვის სავალდებულო არ ყოფილა უნივერსიტეტში 4 წელი დარჩენა, მათ უფლება ჰქონდათ სურვილისამებრ ჩაებარებინათ საგნები და სადიპლომო შრომაც წარედგინათ.

პეტერბურგის უნივერსიტეტის არქივში აღმოუჩენიათ, რომ აკაკი წერეთელს უნივერსიტეტის რექტორისათვის მიუცია თხოვნა კანდიდატის ხარისხით უნივერსიტეტის დამთავრების გამოცდაზე დაშვების შესახებ. 1861 წლის 14 აპრილს თხოვნა დაუკმაყოფილებიათ, აკაკისაც მზადება დაუწყია და იმავე წლის 16 აპრილს კარგად ჩაუბარებია გამოცდები რვა საგანში. მაგრამ ამათგან ორ საგანში, ფრანგულსა და აზერბაიჯანულ—თათრულ ენებში, სამიანები მიუღია.

როგორც ფაკულტეტის დეკანის ერთი მოხსენებიდან მტკიცდება, აკაკის ჩვეულებად ჰქონია, თუ საგანი კარგად არ ჰქონდა დამზადებული, გამოცდაზე არ მივიდოდა და თუ ცუდ ნიშანს მიიღებდა, ხელახლა ითხოვდა გამეორებით გამოცდას. ამ შემთხვევაშიც ასე მოქცეულა და კიდეც მიუღწევია მიზნისათვის, მაგრამ ერთი სამიანი მაინც შერჩენია (თათრულ ენაში). გაძნელებულა თათრულ ენაში ნიშნის გამოსწორება, სანამ, აკაკის თხოვნით, მზრუნველი არ ჩარეულა საქმეში. ეს ხელახალი თხოვნა გარჩეულა 1862 წლის 13 აპრილს (თითქმის ერთი წლის შემდეგ) აღმოსავლეთის ენათა ფაკულტეტის სხდომაზე და აკაკისაც კვლავ ღირსებია გამოცდაზე დაშვება, სადაც „4“ მიუღია.

ამის შემდეგ აკაკისთვის მიუნიჭებიათ უფლება წარედგინა საკანდიდატო თხზულება, რომლის თემად აურჩევია: „ვეფხის-ტყაოსნის“ ორიგინალობის შესახებ“. წარმოდგენილი შრომა თუმცა მოუწონებიათ, მაგრამ რაკი აკაკის ვერ წარუდგენია მოწმობა გიმნაზიის დამთავრების შესახებ, აღნიშნული ხარისხიც ვერ მიუღია. ამგვარად საქართველოს დიდი მგოსანი, რომელმაც უნივერსიტეტი ფაქტიურად უკვე დაამთავრა 1862 წელს, მაინც უდიპლომოდ დარჩენილა.

ცაცილიასთან

სანდრო ქღენგი

ახეთს მოვიდა სახეგაშლილი,
დარბაისელი ჭაღაროსანი...
და მხიარული გრძნობით ავსილი
მგოსანს ესტუმრა დიდი მგოსანი.

გაშალეს სუფრა... მრავალჟამიერ,
იყო ვარდობა და გაზაფხული
თითქოს მტრის სისხლი ყანწით დალიეს,
ისე წვეთავდა ღვინო კახური.

ალაზნის ველიც ჩანდა ნაქარგი,
კახეთის გულში ჩამდგარი ლხინით...
— იყოს დღეგრძელი ჩვენი აკაკი!
შესვით, ჭიქები აავსეთ ღვინით!

მრავალჟამიერ ჩანგს და ნაღარას,
სამშობლო მხარის მზიან „განთიადს“,
და თუ „ხანჯალმა“ არ გაგვახარა,
მომავლის სხივი მაინც ანთია.

იცოცხლე დიდხანს, ლექსმაც გვახაროს,
დიდი მგოსანი ხალხმა გიწოდა,
და არ მოკვდება იგი არასდროს,
ვინც ამირანის ცეცხლით იწვოდა!

აკაკის ფსევდონიმები

აკაკის თავის სამწერლო მოღვაწეობის პირველ ხანებში რამდენიმე ფსევდონიმი გამოუცვლია. ასეთი იყო: „ს-ლი", „წ", „იმერელი", „ალ. სამარიძე", „Z", „გაჩეჩილაძე", „ლეონ ვამეხის-ძე დადიანი", „სხვიტორელი", „თერგდალეული" „ვერ მიცანი ნინიაო", „გიორგი ქართველიშვილი" და „ჩოხოსანი". უკანასკნელ დროს კი ყველგან „აკაკის" აწერდა.

სახლი ქუთაისში, სადაც ცხოვრობდა აკაკი.

დარია ახვლედიანი

დამიწუნეთ?

საბავშვო ჟურნალის „ნაკადულის" რედაქციაში, რომლის სარედაქციო კოლეგიის წევრი მეც ვიყავი, ბევრი მასალა შემოდიოდა. ჩვენ ვარჩევდით რჩეულ საბავშვო ლექსებს, მოთხრობებს და ვათავსებდით ჟურნალში; ზოგიერთ სუსტ ნაწარმოებს ვიწუნებდით, მაგრამ დაწუნებულ მასალას ავტორს არ ვუბრუნებდით. აკაკი წერეთელი ხშირად გვაწვდიდა ლექსებს. მას ძალიან უხაროდა, რომ ჩვენ შევძელით საბავშვო ჟურნალის დაარსება.

ერთხელ აკაკიმ ხუთი საბავშვო ლექსი ერთად გამოგვიგზავნა. ჩვენ სამი მოვიწონეთ, ორი ლექსი კი გადავდეთ. რამდენიმე ხნის შემდეგ აკაკიმ მკითხა:

— ჩემი ლექსები მიიღეთ?

— კი, ბატონო, მივიღეთ, — ვუპასუხე მე.

— მერე?

— სამი უკვე დასაბეჭდად არის გამზადებული.

— დანარჩენი?

მე მომერიდა, დაწუნების შესახებ ვერაფერი ვუთხარი.

— რად გაჩუმდი, დამიწუნეთ?

— ბატონო, თქვენს ლექსს როგორ დავიწუნებდით, მაგრამ რაღაც ისე თქვეს, თითქოს ბავშვებისათვის შეუფერებელიაო, — მოკრძალებით ვუპასუხე.

— ხა — ხა — ხა — ხა! მე მგონი, ეს დაწუნებაა. ესღა მაკლდა, რომ შენ და მარიამმა (გულისხმობდა „ნაკადულის" რედაქტორს მარიამ დემურიას) ლექსები დამიწუნოთ. დანარჩენი რომელ ნაგავს გადააყოლეთ? მითხარით მაინც, ეგებ მე თვითონ ვიპოვო ჩემი ლექსებიო, — თქ ა აკაკიმ.

— რასა ბრძანებთ, ბატონო, იქ დაწუნებას არ ჰქონია ადგილი, ალბათ, დაიბეჭდება, მხოლოდ ის სამი ლექსი კი უფრო მოეწონა ყველას.

— რას იზამ, ქალების ხელში ჩემი მტერი ჩავარდაო, — სიცილით მითხრა აკაკიმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი პირველი რეჟისორი

ნიკო გვარაძე
რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი.

როცა მე მოწაფე ვიყავი, აკაკის ვიცნობდი როგორც საუკეთესო პოეტს, პირადად კი არასოდეს არ მენახა. მენატრებოდა „სულიკოსი", და სხვა მშვენიერი ლექსების ავტორის ნახვა. ეს ნატვრაც ამისრულდა.

ბავშვობიდანვე გამიტაცა თეატრმა, მაგრამ ობოლს არ მქონდა ბილეთის შეძენის საშუალება და ამიტომაც ბევრჯერ, წარმოდგენის დაწყებამდის, ვმდგარვარ თეატრის კარებთან და თვალ-ყური მიდევნებია იმ ბედნიერთათვის, რომელთაც ჰქონდათ წარმოდგენაზე დასასწრები ბილეთი.

არ მახსოვს რომელი თვე იყო, ამხანაგებთან ერთად ვიდექი თეატრის კარებთან. წარმოდგენა იწყებოდა. უცბად თავზე წამოგვადგა ძვირფას ქურქში გახვეული ახოვანი ვაჟკაცი. ბავშვებმა გზა დავუთმეთ. ერთმა წამჩურჩულა ყურში: ეს აკაკიაო! სიხარულმა ამიტაცა, მაშინვე თეატრის დერეფანში შევყევი, კუთხეში მივიმალე და იქიდან დავუწყე ცნობისმოყვარეობით ცქერა. თეატრის მსახურმა მას ქურქი ჩამოართვა. დერეფანში მყოფი ხალხიდან უმეტესობა აკაკის ნაცნობები აღმოჩნდნენ. ისინი დიდის სიყვარულით ეგებებოდნენ და სალამს აძლევდევდნენ მას.

რა ლამაზი ვაჟკაცი იყო აკაკი: ახოვანი ტანი, მაღალი შუბლი, ახლად ჭაღარაშერეული ხუჭუჭა თმა, გამომეტყველებით აღსავსე ალერსიანი თვალები — განსაკუთრებული მიმზიდველობის მქონე ვაჟკაცს გეიხატავდა. ის, ვინმე უცნობს რომ ენახა, მაშინვე იტყოდა: ეს კაცი უეჭველად დიდი ადამიანიაო.

აკაკის ძალიან უყვარდა თეატრი. როგორც ქართული თეატრის ბუმბერაზის მსახიობ ვასო აბაშიძისაგან გამიგონია, ჯერ კიდევ ახალგაზრდობისას აკაკი თეატრის ანტრეპრენიორიც ყოფილა. აკაკის თავისი საკუთარი თანხები დაუხარჯავს, რომ როგორმე ქართული თეატრის, ხეზონი შემდგარიყო და ის ორიოდე მსახიობი, რომელიც მაშინ ჰყავდა ქართულ თეატრს არ გაფანტულიყო, სამუდამოდ არ გამოკეტილიყო ქართული თეატრის კარები. როგორც დრამატურგი, აკაკი ძალიან ნაყოფიერი და დიდი მოამაგე იყო ქართული თეატრისა, სეზონი ისე არ გავიდოდა რომ აკაკის რაიმე პიესა ორიგინალური ან ნათარგმნი არ მოეტანა თეატრში.

ყოფილა ასეთი შემთხვევა: ერთერთ ხუთშაბათს, დანიშნულია თურმე ნატო გაბუნიას ბენეფისი, რომელშიაც მონაწილეობა უნად მიეღოთ, როგორც ბენეფიციანტს — ნატო გაბუნიას, აგრეთვე მაკო საფაროვა-აბაშიძისას. წარმოდგენის წინა დღეებში მაკო საფაროვა-აბაშიძისა უცბად ავად გამხდარა. ისე რომ წარმოდგენაში მონაწილეობას ვეღარ მიიღებდა და საბენეფისო წარმოდგენა უნდა გადაედოთ. იმ დროს საბენეფისო წარმოდგენის გადადება დიდი უბედურება იყო ქართველი მსახიობისათვის, რადგანაც ბენეფისი ერთადერთ შემოსავალის წყაროდ ითვლებოდა მაშინ. ამ მდგომარეობით დაღონებულ მსახიობებთან რეპეტიციაზე სრულიად შემთხვევით მოსულა აკაკი.

გაუგია საქმის ვითარება, ნატო გაბუნია დაუმშვიდებია და უთქვამს: ნატო, ნუ სწუხარ, მე ხვალ დილით მოგიტან ისეთ პიესას, რომელშიაც მხოლოდ ერთი ქალის როლი იქნებაო. მართლაც, იმავე ღამეს პატივცემულ აკაკის დაეწერა და მეორე დილით მოეტანა თეატრში პიესა „კინტო", რომელშიაც მხოლოდ ერთი ქალის როლია. ის პიესა მსახიობებს სამ დღეში მოემზადებიათ და ასე, აკაკის დახმარებით, გადაურჩენიათ გადადებიდან ნატო გაბუნიას საბენეფისო წარმოდგენა.

აკაკი ძალიან დაახლოებული იყო თეატრთან. მას იმდენად უყვარდა სცენა, კულისები და აქტიორთა წრე, რომ 1903 წელს, როდესაც შესთავაზეს ქართული თეატრის რეჟისორობა, დათანხმდა და გულმოდგინედ შეუდგა მზადებას სეზონისათვის. სწორედ ამ სეზონის დასაწყისში ვალერიან გუნიას მეთაურობით გაიმართა გამოსაცდელი წარმოდგენა, რის შემდეგაც ჩარიცხული ვიყავი ქართული თეატრის დასში, როგორც ახალგაზრდა მსახიობი. ასე რომ, პირველი ჩემი რეჟისორი, რომელმაც პირველ წარმოდგენაზე პიესა „სამშობლოში" მომცა პატარა ბიჭის როლი, იყო აკაკი... მეორედ აკაკიმ დადგა თავისივე პიესა „პატარა კახი" და მე წილად მხვდა ბედნიერება მისივე რეჟისორობით მეთამაშა კახის როლი.

ტკბილი მოგონება

პ. შარაბიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასულიერო სასწავლებლის მესამე კლასში ვიქნებოდი მაშინ. მამაჩემი მოვიდა თუ არა სახლში (არდადეგები იყო), ჯერ ჩვენ გვახარა, მერე მეზობლებში გამგზავნა სათქმელად: ამა და ამ დღეს აკაკი მოდის რაჭაში და ქუდზე კაცი დავხვდეთ ამოვლისასო. ყველა აღფრთოვანებამ მოიცვა. მე დედაჩემმა მირჩია, რომ იმ დღისათვის სოფელ წესში წავსულიყავ ნათესავებთან, რადგანაც მოსალოდნელი იყო, აკაკი წესის მახლობლად ბარაკონში, როსტომ ერისთავის ნამოსახლზე, უფრო მეტ ხანს დაჰყოფდა, ვიდრე რიცეულზე, და მეც გავსწიე წესისაკენ. ყველამ თურმე იცოდა აკაკის მოლოდინი. გრძნობდნენ და განიცდიდნენ.

იმ დღეს წესში ელბაქიძეების სტუმარი ვიყავი და დანიშნულ დროს დურგალმა გიორგი ელბაქიძემ მაჯაში წამავლო ხელი, გამიძღვა წინ და ბარაკონისაკენ წამაძუნძულა: გვაგვიანდებაო. გზაზე აკაკის ლექსებს მაამბობინებდა და თვითონაც ამბობდა. მივედით ბარაკონში, შამადავლე ერისთავის სამოსახლოს მიდამოებში. ეს ადგილი წესიდან ონამდე სამი ვერსით იყო დაშორებული. რიონის მარცხენა მხარეზე, გზატკეცილიდან მარჯვნივ, ტაფობისებურ ჭალაზე დგას ხის ძველი ქართული სტილის რიკულებიანი და თაღებიანი ოდა-სახლი. ირგვლივ თვალუწვდენელი ვენახები და სათიბები აკრავს, გზისპირთან კი ციხის ნანგრევები; მის იქითა მთებიდან კიდევ კოშკები დასცქერს აშ ადგილს. აი, იმ ადგილებში შეგროვილიყო უამრავი ხალხი. იქედან ზოგი სოფელ კვაცხუთისაკენ დაიძრა დასავლეთით, ე. წ. ხიდისკარს. ეს ხიდისკარი დარიალის ხეობას მოგაგონებთ ერთის შეხედვით, მასზე უფრო ვიწროა და ისეთივე მიუვალი. აქეთ-იქით თვით კლდეთა გამოქვაბულში ციხე-კოშკებია სათოფეებით. იგი რაჭის მფლობელის როსტომ ერისთავის სიმაგრეს წარმოადგენდა. იმ ადგილისაკენ გასწია ხალხმა და გიორგისთან ერთად მეც იმ ხალხს გავყევი. ყველას საზეიმო იერი ჰქონდა და მეც მიხაროდა, რომ აკაკის შორიდან მაინც დავინახავდი. მართლაც, საშხრობისას ეტლები მოადგა ხიდისკარს. ხალხმა იგრიალა და ეტლებს მისცვივდნენ. გავიხედე, აკაკი აუყვანიათ ხელში. მოჰყავთ „ვაშას“ ძახილით და ტაშის გრიალით. აკაკიმ შესვენება ითხოვა. გულმოდგინედ დაათვალიერა ხიდისკარის ვიწრო მიდამოები, გაღმა მდებარე აბანოები და მერე ბარაკონისაკენ განაგრძეს გზა. აკაკის ეტლი ნელა მიდიოდა და ჩვენ ხშირად ოვაციებს ვუმართავდით მხცოვან მგოსანს. არ მეგონა, თუ აკაკის ნახვას, და ისიც ასე ახლო, ოდესმე ვეღირსებოდი. არც მახსოვს ჩემს ბავშვობაში მსგავსი ზეიმი რაჭელებისა.

მივედით ბარაკონს. იქ შეისვენეს მგზავრებმა. ეტლებმა გზატკეცილიდან მარჯვნივ გაუხვიეს. შამადავლე ერისთავის სახლის გრძელი აივნის სიგრძეზე რაჭული სუფრა გაეშალა ხალხს. ეზოში უამრავი ხალხი იყო. მე ვცდილობდი აკაკისთან ახლო ყოფნას. წინ ვეჩრებოდი და პირდაღებული ვაცქერდებოდი მგოსნის სპეტაკ სახეს და წვერ-ულვაშს. თვითეული სიტყვის გაგონებას ვცდილობდი. დასხდნენ. ახლა მორცხვი შევიქენი: არ იფიქრონ მეთქი, თითქოს საჭმელისათვის ვარ ატუზული. მოშორებით დავდექი, კედელს მივეყრდნე და ისე დავუწყე ცქერა აკაკის. პატარა ხანს უკან მგოსანმა თითით მანიშნა მოდიო.

მივედი.

— ვისი შვილი ხარ, ბიძიკო?

— ეს, ბატონო აკაკი, ვასილ შარაბიძის შვილი გახლავთ,—დამასწრო გიორგიმ პასუხი.

— მართლა, ყმაწვილო?

— დიაღ, ბატონო.

— ძალიან სასიამოვნოა. ეს მითხარი: პეტრე შარაბიძეს იცნობთ?

მე თავი დავლუნე და ვიღიმები. სიჩუმე ჩამოვარდა. მე გახლავართ მეთქი,—ვუპასუხე, როდესაც ჩემს ხელნაწერს მგოსნის ხელში მოვკარი თვალი. იგი ჩემს მიერ ჩაწერილ „ღვდლის შვილს“ ათვალიერებდა. აღარ მახსოვს, როგორ მოხვდა აკაკის ხელში ჩემი რვეული. იმ ხანებში ცალკე რვეულში ვიწერდი რაჭულ ზღაპრებს. ზღაპარი „ღვდლის შვილი“ დედაჩემმა ჩამაწერინა. იმ რვეულს ყოველთვის თან დავატარებდი.

— კარგი გამართული ენით ჩაგიწერია, ბიჭიკო. არ დააგდო კალამი. ეს კარგი საქმეა... მერე და შენ საიდან იცი ამ ზღაპრების მნიშვნელობა?

მგონი ნინო ნაკაშიძეზე ვუთხარ, იმან დაგვავალა მეთქი.

— ჩემის აზრით, ამისთანა რამ ბავშვისათვის ნაადრევია,—თქვა გიორგიმ.

— რუსეთის გამოჩენილი მოღვაწე დობროლუბოვი ამის ტოლა იქნებოდა, როდესაც ჰორაციუსი თარგმნა,—თქვა აკაკიმ.

— თქვენი სახელი?

— გიორგი, ბატონო, გვარად ელბაქიძე.

— ჩემო გიორგი, უნდა მოგახსენოთ, რომ დღეს ნასიამოვნები დავრჩი რაჭის ნახვასთან ერთად მით, რომ ვინც რაჭული ზღაპარი მასწავლა, იგი ამ წუთს გვერდზე მყავს მიხუტებული.

გიორგის სახეზე სიამოვნება ამოვიკითხე.

— ახლა მე უნდა ვასწავლო მას მაგისთვის უცნობი ზღაპარი. მხოლოდ, ბიძიკო, რა წიგნებს კითხულობ შენ?

— „ნაკადულსა“ და „ჯეჯილს“ მუდამ ვკითხულობ და ქართველ მწერლებში ილიასა და აკაკის ვეტანები.

— ხა, ხა, ხა!—გადაიხარხარა აკაკიმ.—ლადო, ლადო, უყურე, უსმინე ამ ვაჟს, მოუსმინე და მერე მიშველე, კაცო, არ გესმის?

— რას მიბრძანებთ, პატივცემულო აკაკი?—გადმოვიდა მისკენ მისი თანამგზავრი.

— რა და ეს ბიჭი მეტანება, ჩამომაშორე.

ლადო მიხვდა, რომ აკაკი ოხუნჯობდა. ყველანი იცინოდნენ. მე თავჩაღუნული ვიყავი.

— ყმაწვილო,—მომმართა ლადომ,—მოგზაურობანი არ გაინტერესებს?

— როგორ არა. მე ფრიტიოფ ნანსენის მოგზაურობასაც ვკითხულობ.

— ამ დღეებში, ქუთაისს დავბრუნდები თუ არა, გამოგიგზავნი „აკაკის მოგზაურობას რაჭა-ლეჩხუმში“.

მერმე შევიტყე, რომ ის ლადო ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ლადო ბზვანელი იყო, გვარად ნაცვლიშვილი.

— ლადო, ამ ყმაწვილს მე ზღაპარს დავპირდი, მოდი, ჩემო მკითხველო,—მიმიყვანა აკაკიმ და ისევ გვერდით მიმიხუტა,—იყო ერთი კურდღელი,—დაიწყო აკაკიმ და მე სმენად გადავიქეცი.

— მივიდა კურდღელი მელა-კუდასთან და შესჩივლა: მე უბედური ვარ, ყველა მაშინებს, მე კი ვერავინ შევაშინეო. „შე კაი კაცო, შენა“—უთხრა მელა-კუდამ,—თუ არ მოიფიქრე, აბა, ვის შეაშინებ გაიქეცი ჩქარა, ეგერ მეცხვარე ფარას მოერეკება, შენ ბუჩქებში დაიმალე, ფარა რომ ბუჩქებს მიუახლოვდება, წამოხტი და ისკუპე, ცხვრები დაფრთხებიან. შენის თვალებით შეხედავ შენს შეშინებულებსო. კურდღელი მართლაც ასე მოიქცა. ცხვრებმა რომ ბუჩქებს მიაღწიეს, წამოხტა და ისკუპა. ცხვრები დაფრთხნენ. კურდღელი იცინის, იცინის, კვდება სიცილით. სიცილით რომ მოიქანცა, შინ წავიდა, სარკეში ჩაიხედა და დაინახა, რომ ნამეტანი სიცილით პირი გახეოდა.—ხა, ხა, ხა!—ვხარხარებთ მსმენელები. მერმე აკაკი შემეკითხა:

— რომელმა ადგილმა გამოიწვია შენში სიცილიო?

— კურდღელს სარკე საიდან ექნებოდა, ჯერ ეს ერთი. მეორეც, თითქოს მართალს ჰგავს ეგ ზღაპარი: კურდღელს პირი თითქმის ყურებამდე აქვს ახეული.

ბევრი ვიმხიარულეთ. აივანზე ლხინი გრძელდებოდა. ადიდებდნენ აკაკის. აკაკი კი მისთვის განკუთვნილ ოთახში იყო და ისვენებდა. საინტერესოა იმ დღის შემდეგი ამბავი: აკაკიმ მოხუცებს სთხოვა, ემბნათ იმისთვის რაიმე როსტომ ერისთავის შესახებ. გიორგი ელბაქიძემ „პეტრიკელა მედავითნის ამბავი“ მოუთხრო. აკაკი უაღრესი ყურადღებით უსმენდა. ხან გადაიხარხარებდა, ხან მოიღუშებოდა. როდესაც გიორგიმ მოათავა, აკაკი ერთხანს დადუმებულივით იყო. მერმე მოთხრობას თავისებური დასკვნა გაუკეთა, გიორგის მადლობა გადაუხადა და მე მთხოვა იმ ამბის ჩაწერა. თუ მომაწვდი, კარგი იქნებაო, თუ არა და „ჯეჯილს“ გადაუგზავნეო, მერმე კი ვიტყვიო,—თქვა მგოსანმა ხაზგასმით, რომ რაჭაში ჩემი მოგზაურობა—ეს იყო ჩემს პირად ცხოვრებაში თითქმის ყველა მოვლენის თანაბარიო.

მეორე დღეს აკაკი ონისაკენ გაემგზავრა. იქ ხალხთან საუბრისას აკაკიმ სიტყვაში თურმე აღნიშნა: უნდა გითხრათ, რომ მე ისეთი დიდი ადამიანი არა ვარ, რაც პატივი და დიდება მივიღე აქ თქვენგან. თქვენ მოგევლინებათ ისეთი პიროვნება, რომელიც იხსნის ხალხს გაჭირვებისაგან. მეც აღტაცებული ვარ თქვენის სიმხიარულის გამო, იმიტომ კი არა, რომ ეს მე გამოვიწვიე, არამედ იმიტომ, რომ გამოღვიძება გეტყობათ. არა ხართ კმაყოფილნი აწმყოთი და ესწრაფვით მომავალს. თქვენ გინდათ გყავდეთ წინამძღოლი. მე მისი აჩრდილიც არა ვარ. ის გმირი, რომელმაც ჯაჭვი უნდა გასწყვიტოს, სხვა არის. ის მოგევლინებათ თქვენ ახალი მოდგმისაგან... მე კი დამრჩენია გულში ჩავიკრა თქვენი სიყვარული...

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი... აკაკი!

ქუთაისის გიმნაზიაში ქართული ენის გაკვეთილი მიმდინარეობდა.

— აბა, ვინ დაასახელებს ოქროს ხანის... — დაიწყო ქართულ ენის მასწავლებელმა სილოვან ხუნდაძემ, მაგრამ ამ დროს გაიღო კარი და კლასში შემოვიდა თავაწეული მომხიბლავი მოხუცი; მას შემოჰყვა გიმნაზიის დირექტორი ოცხელი და კრიტიკოსი კიტა აბაშიძე.

— აკაკი, აკაკი... — გაიშრიალა კლასში და ყველანი ფეხზე წამოიჭრნენ. აკაკიმ ხელი ჩამოართვა სილოვანს, მერე კლასს მიესალმა. ასევე მოიქცა მისი ამხანაგიც. დარაჯმა უცებ შემოარბენინა სკამები, სტუმრები დასხდნენ...

— განაგრძეთ ბატონო სილოვან, — მიმართა აკაკიმ. — ვნახოთ, რა იციან ამ ჩვენმა ახალგაზრდებმა.

— ყმაწვილებო, აბა, ვნახოთო, რამდენად კარგად იცნობთ აკაკის შემოქმედებას, — მიმართა მასწავლებელმა.

მოწაფეები აფრთოვანებით უპასუხებდნენ, ზოგნი კი, შეშინებულნი, ვაითუ რამე შეგვცდესო, საცოდავად გამოიყურებოდნენ. ზარმაცებს შავი დღე დაადგათ. ისე იბუზებოდნენ, თითქოს უნდოდათ ბუზის ოდენაც არ გამოჩენილიყვნენ, მაგრამ ასეთები მხოლოდ თითო-ოროლა იყო.

— ჩამოთვალეთ აკაკის ისტორიული პოემები.

— „თორნიკე ერისთავი“, „პატარა კახი“, „ნათელა“...

— რა იცით „ნათელადან“ ზეპირად?

— ჩონგურს სიმები გავუბი... — და ჩაარაკრაკეს ბოლომდის.

— რა აზრისაა აკაკი საქართველოს მერმისზე?

— არ მომკვდარა! მხოლოთ სძინავს და ისევე გაიღვიძებს...

— აბა, პავლე, დაიწყე: „კრულ იყოს...“

და პავლემ რიხით თქვა „ღამურას“ უკანასკნელი სტროფები.

— დაახასიათეთ აკაკის ლირიკა.

და კვლავ მოხდენილი პასუხი მიიღინასი.

— რას იტყვით აკაკის პროზის შესახებ?

და დათიკო შეეხო „ბაშა-აჩუკს“, ვასო კი „ჩემს თავგადასავალს“.

აკაკის სახეზე წარმტაცი ღიმილი დაჰქროდა, იჯდა უკანგადაწეული თავით და ისმენდა, ისმენდა ახალგაზრდების სიტყვებს...

აი ზარის ხმაც... აკაკი წამოდგა. მას რაღაცის თქმა უნდოდა. კლასი გაინაბა.

— ყმაწვილებო, — გაისმა ტკბილი ხმა. — მე ვამბობდი: არ მომკვდარა! მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს მეოქი, და მწამს, რომ ეს ასეც იქნება. ის ერი, რომელსაც თქვენისთანა ვაჟები ჰყავს, ძილს დაიღწევს თავს. ჩვენ, მოხუცებმა, ჩვენი გავაკეთეთ, ახლა თქვენი ჯერია... — და ამას მოაყოლა:

ბევრი ვეცადე, ძიმწარეს
ვერ გავუთხარე ძირი მე,
ახლა კი თქვენი ჯერია,
დაბარეთ, თქვენი ჭირიმე!
კუბოს კარამდი მისული,
რაღა ვარ, განაწირი, მე,
მაგრამ თან თქვენი იმედი
მიმყვება, თქვენი ჭირიმე!

და ღიმილით გაემართა კარისაკენ.

თავგამეტებულმა ტაშმა დაფარა მგოსნის სიტყვები...

ორი მტევანი



ნიკოლო ნაგრეული

უმცა ზამთრის დღეა, მაგრამ მაინც არ ცივა. არც ღრუბელი ჩანს სადმე, არც ქარი სისინებს...

ყველა გარეთ გამოსულა, მზის გულზე. ბაღ-ენახებში მამაკაცებს გაუმართავთ მუშაობის ფერხული, ლაფარეებში ქალები სხეიდან, საუბრობენ და ხელსაქნარობენ, ეზოებში ბავშვები დარბიან, თამაშობენ და ცელქობენ. ასეთ ამინდში ნაღველი ვერ აწუხებს გულს, სულს უხარია, სხეული გალაღებულია. ვინ დაჯდება შინ, ვინ არ დატკბება მომაბეზრებელი ზამთრის ამგვარი იშვიათი დღით?!

და მთელი სოფელიც გასულა მზისგულზე...

მხოლოდ ერთი კაცი, მხოლოდ ერთი მოხუცი, რომელსაც სხვაზე უფრო

მეტად უყვარს ლაი ბუნება, უყვარს მზე, უყვარს სიცოცხლე წევს ოთახში. მისი წვერები ისევე ქთქთთაა, როგორც მისი ლოგინის ზეწარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წევს მოხუცი, ცალი თვალით ფანჯრიდან გაიმა მთას გაჰყურებს და ფიქრობს: „აქ დავიბადე, ამ ოთახში, აქ ავიხილე თვალი და ნუთუ აქ უნდა დავიკრიფო გულზე ხელები, აქ უნდა მოვკვდე?“ იქვე ახლოს ჩამდინარე პატარა ღელე გონჯურა მირაკრაკებს, ცოტა მოშორებით მდინარე ჩიხურა მიშხუის და გრძნობის აკვანს ურწევს მოხუცს: რამდენჯერ უბანავებია პატარა ბიჭუკელას ჩიხურაში, რამდენი კალმახი დაუჭერია იქ! ახლა კი...

ოთახის კარი გაიღო და ფეხაკრეფით შემოვიდა მომვლელი ქალი.

— ბატონო აკაკი, იქნებ ყურძენს მიირთმევთ? თქვენთვის კარგი რქაწითელი მაქვს შენახული, მოგიტანთ.

აკაკის ძალიან უყვარს ხილი, მათ შორის კი განსაკუთრებით ყურძენი. ახლა არაფერი უნდა, მაგრამ შეიძლება ცოტა ყურძენი ჭამოს. მომიტანეო, — ანიშნა თვალით მომვლელს ამიტომ.

არ გასულა ერთი წუთიც, ქალმა ორი მტევანი შემოუტანა კრიალა ლანგრით. ორივე მტევანი ერთ რქაზეა მიმაგრებული. დიდებულმა მოხუცმა მარცხენა ხელი რქას მოჰკიდა, მარჯვენაი მარცვლების ჭამა იწყო. ჭამს ნელა, ფაქიზად. ყურძენი ლამაზია, კრიალა, თვალს ატყვევებს, მაგრამ ამ წუთში გემო არ აქვს.

— ეჰ, ანიკო, ანიკო, — უთხრა მომვლელ ქალს, — თითქოს სიტკბოება დაუკარგავს ამ ყურძენს! წაიღე, აღარ მინდა.

— როგორ შეიძლება, ბატონო აკაკი, მიეძალეთ, მიირთვით, მადა გაგეხსნებათ, მალე მომჯობინდებით!

— ვითომ მალე მოვჯობინდები? არა მგონია. წაიღე ეს ორი მტევანი ყურძენი და როცა მოგთხოვო, მაშინ მომიტანე.

ქალი დაემორჩილა მოხუცის სურვილს, ფეხაკრეფით გავიდა ოთახიდან. დიდებულმა მგოსანმა კი კვლავ მთებს მიაპყრო თვიისი მზერა და ჩაფიქრდა.

გარეთ ისევ მზე იყო, თბილი დარი იდგა, ისევ ჩვეულებრივად მირაკრაკებდა გონჯურა, მიშხუოდა ჩიხურა. ისმოდა ბავშვების ყივილხივილი, ხამუშ-ხამუშ ხბოების ბღავილი. მშვიდად ისმენდა ამ ხმაურს ფიქრში წასული მგოსანი...

ასე გავიდა ის დღე. დაღამდა. გათენდა. კვლავ დარი იყო. მგოსანიც კვლავ იწვა და ფიქრობდა. დროდადრო ოთახში ფეხაკრეფით შევიდოდა მომვლელი ქალი და მოკრძალებით ეკითხებოდა:

— ბატონო აკაკი, ხომ არაფერს ინებებთ?

— არაფერს, არაფერს! — წყნარი, რბილი ხმით უპასუხებდა დიდებული მგოსანი. მას არ ახსოვდა ის ორი მტევანი ყურძენი, რომელიც გუშინ გააბრუნა უკან. იქნებ კიდეც ახსოვდა, მაგრამ აღარ უნდოდა!

მომვლელი ქალი ცდილობდა როგორმე მოეგონებინა მგოსნისათვის რქაწითელის მტევნები. პირდაპირ კი ვერ ეუბნებოდა: ეშინოდა არა ვაწყენინო რა მოხუცსო. აკაკიმ ხომ ასე უთხრა: როცა მოგთხოვო, მაშინ მომიტანეო.

მაგრამ არც მეორე დღეს, არც მესამეს, არც მეოთხეს, არც არასოდეს აღარ მოუთხოვია მხცოვან მგოსანს რქაწითელის მტევნები...

* *
*

სპეტაკი თითებით მარცვლებგამოკრეფილი მტევნები ეკიდა კედელზე და ობი ედებოდა. მიდიოდა დღეები, კვირეები, წლებიც... მარცვლები უფრო შავდებოდა, ობი კი ძლიერდებოდა, უფროდაუფრო ეკვროდა მათ. რქასაც შეესივნენ პატარ-პატარა მწერები, შეესივნენ და აქა-იქ კიდეც გამოხრეს. მაგრამ რქამ არ დაკარგა თავისი ელფერი. ოცდახუთ წელზე მეტს გაუძლო მან.

ახლაც ჰკიდია მტევნებიანი რქა აკაკის ოთახში ერთ კედელზე. იქვე გაწყობილია სუფთა ლოგინი. მგოსნის საწერი მაგიდაც ჩვეულებრივადაა, კედელზე ჰკიდია ბევრი ნივთი, მათ შორის მგოსნის პალტო, ქუდი, საათი. იატაკზე აწყვია ფეხსაცმელები.... აქ ყველაფერი ისეა, როგორაც იყო დიდი პოეტის გარდაცვალებისას. ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს მგოსანი გარეთ გასულა და აი, საცაა გაიღება კარი და ისიც შემოვა.

ყველა ეს ძვირფასი ნივთი დიდი მოწიწებით ინახება.

ინახება ორი მტევანიც.

მახვილი სიტყვები

ერთხელ სადილად ისხდნენ თურმე აკაკი და პირველი საბავშვო ჟურნალის „ნობათის“ რედაქტორი ანდრია ღულაძე. ამ ანდრია ღულაძეს ღვინო რომ გადაეკრა, მალე შემთვრალიყო. ამის შემდეგ მას აუჩემებია ერთი სიმღერა:

„მიმინო მყავდა, მიმინო მყავდა,
მიმინო მყავდა, მყავდა—მიყვარდა!“

ანდრიას ამ ერთსა და იგივე სიტყვებით ყველასთვის მოებეზრებია თავი. მაშინ აკაკის უთქვამს თურმე ანდრიასათვის:

—ნუ ხვრიობ, ანდრია, დაჩუმდი! აბა რასა სტყუი: მიმინო რომ გყავდეს, მწყერებს მანდ რა დააყენებდაო?—და შუბლზე მიადო თურმე ხელი.

აკაკის ორმა ნაცნობმა ამხანაგმა რესტორანის გახსნა განიზრახა. მათ ყველაფერი მოეწყოთ და მერე იმის ფიქრში ყოფილან, ისეთი რა სახელი დაერქმიათ, რომ მოკლეც ყოფილიყო და მუშტარიც ბევრი მიეზიდა. ბევრგან ეკითხათ, ბოლოს თურმე აკაკისაც მიმართეს.

აკაკიმ მოკლედ მოუჭრათ:

„მუქთი“ დაარქვითო, ეს სიტყვა მოკლეც არის და მიმზიდველიც, მუშტარს ვეღარ აუხვალთ, ისე დაგეხვევიან, როგორც ბუზი თაფლსაო.

გორის მოწინავე საზოგადოებამ მოითხოვა თურმე რომ გორში გიმნაზია დაეარსებინათ. ამ საკითხის გადასაწყვეტად დიდი კრებაც მოეწვიათ. კრებას აკაკიც დასწრებია. იქ საზოგადოება ორად გაყოფილა: ერთი ჯგუფი მოითხოვდა გიმნაზიის დაარსებას და მეორე კი წინააღმდეგი იყო. ამ მეორე ჯგუფს მიმხრობია თურმე ვიღაც ჩიტო კალატოზიშვილი, ცნობილი მოჭიდავე, უშველებელი, ოტროველა კაცი, რომელიც აღელვებულ ხალხს კარშიც კი გაეგდო. ამ კაცზე აკაკის უთხუნჯია:

— საოცარია ჩვენი ხალხი, ამოდენა კაცისათვის „ჩიტო“ იმისათვის დაურქმევიათ, რომ ამოდენა თავში მართლა ჩიტის ჭკუა ჰქონიაო.

ერთხელ აკაკი ახალ-სენაკში ჩასულა. ის თავის დასთან მიდიოდა თურმე. სენაკში სადილად დაეპატიჟნათ აკაკი. ამ სადილზე დასწრებიათ მასწავლებელი სტეფანე ძიმისტარაშვილი, რომელიც იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში „კორტოხას“ ფსევდონიმით ბეჭდავდა ლექსებს. მეორე დილით, როცა აკაკი ცხენით გაესტუმრებიათ თავის დასთან, ძიმისტარაშვილს თავისი ლექსების რვეული გაუტანებია და თან შეხვეწნია:

— გადამითვალიერე და შენი აზრი მითხარიო.

აკაკი როცა დაბრუნებულა, შეჰკითხვიან:

— როგორ ისიამოვნე, როგორ იმგზავრეო?

— შენი მტერი მე საქმე დამემართაო, გზაში ჩაქჩაქა ცხენმა გამათავა, იქ კიდევ ამ სტეფანეს ლექსთა რვეულმა ტვინი გამილაყაო.

შეკრებილია ლ. ჭიჭინაძის მიერ.

აკაკის მთარგმნელი არტურ ლაისტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრმა უცხოელმა მოგზაურმა და მწერალმა გააცნო აკაკი თავისიანებს, მაგრამ ამ საქმეში ყველაზე ბევრი არტურ ლაისტმა გააკეთა.

გერმანელი მწერალი არტურ ლაისტი ჯერ კიდევ გიმნაზიელი იყო, როცა ქალაქ ბრესლავლში შემთხვევით წაიკითხა საქართველოს აღწერილობა. დიდი სურვილი აღეძრა ჭაბუკს ამ ლამაზ ქვეყანაში ჩამოსულიყო და საკუთარი თვალით ენახა იგი.

ლაისტმა ეს სურვილი მხოლოდ სამი წლის შემდეგ განახორციელა.

სამშობლოში დაბრუნებისას მან გერმანულ ენაზე რამდენიმე წიგნი დაწერა საქართველოსა და მისი კულტურის შესახებ და ევროპას გააცნო იგი. სხვა წიგნთა შორის საყურადღებოა მისი „ქართველი პოეტები“ და „ქართველი ხალხი“, ორივე გერმანიაში გამოვიდა, პირველი 1886 წელს, ხოლო მეორე 1904 წელს. ეს უკანასკნელი ითარგმნა მრავალ ევროპულ ენაზე.

„ქართველ პოეტებში“ მოთავსებულია თითქმის ყველა მაშინდელი ქართველი პოეტის ლექსები, მაგრამ ყველაზე დიდი ადგილი ილიასა და აკაკის აქვს დათმობილი. მეორე წიგნშიც ასევე განსაკუთრებული ადგილი ამ ორ პოეტს ეკუთვნის.

ლაისტს „ქართველ პოეტებში“ მოყვანილი აქვს აკაკის მოკლე ბიოგრაფია და საკმაოდ დაწვრილებით აცნობს გერმანელ მკითხველს აკაკის შემოქმედებას. ლაისტი მშვენივრად არკვევს აკაკის პოეტურ ბუნებასა და ღირსებას. არც გასაკვირია ეს გარემოება, რადგან იგი პირადადაც კარგად იცნობდა პოეტს.

აი რას წერს იგი აკაკის შესახებ „სწორეთ რომ დავახასიათოთ ეს ნიჭიერი პოეტი, მას ტრუბადური უნდა ვუწოდოთ, რადგან იგი მრავალი ტომისათვის სამყოფ ლექსებში ნამდვილ „აღმომჩენლად“ გვევლინება და თავისი მოხეტიალე ცხოვრების დროს სიმღერის საგანს სინამდვილიდან სესხულობდა, ისე, როგორც ამას მომენტი უკარნახებდა. მზგავსად საშუალო საუკუნეების მომღერლებისა, ისიც პირველყოვლისა ლირიკოსია და უმღერის გულის ყოველგვარ მოძრაობას, უმღერის სიყვარულს და ცხოვრებისადმი ლტოლვას თვით სიძულვილსა და სევდამდე.“

ლაისტს მშვენივრად შეუნიშნავს აკაკის დამახასიათებელი დამცინავი ტონი-ჰუმორი, რომლითაც თანამემამულეებს ჰკიცხავდა.

ლაისტს ესმის, რომ ღრმა და გულწრფელია აკაკის სამშობლოსადმი სიყვარული, რაც მყარ საფუძველს უქმნიდა მის მშვენიერ ნაწარმოებებს.

ლაისტმა თარგმნა აკაკის „სალამური“, „გაბრწყინდი ჩემო კანდელო“, „კინტოს სიმღერა“ „სიყვარული“, რამდენიმე ნაწყვეტი „თამარ ცბიერიდან“ და სხვა, სულ 16 ლექსი.

თ. ზ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარდით საფლავს შევმოსავ



ამ კორდიდან ჩავუყვები მოკლე ბილიკს,
ჩავალ: ვიცი, პანთეონში სძინავს მგოსანს,
და სტალინის ზურმუხტ ბაღში „მოკრეფილი
ვარდით საფლავს შევუმოსავ.

და ჩავძახებ: ქართველთ ბედზე სასოებით
მისგან ნათქვამს, რომ შეესხათ ფრთები ლექსებს,
რომ მის სახელს, მკერდქვეშ ოქროს ასოებით
ნაწერს, განცდით ვუალერსებ.

რომ მისი ხმა თვით ქარიშხლის დარად ისმის,
ყვავის, როგორც ვარდი კოკორჩახვეული,
რომ მის სახელს შუქი ჰმოსავს მარადისი,
ჩვენს ბაღნარში დარხეული.

მურმან ლებანიძე.

თბილისი, მე-35 სკოლა.

რაჭაში

...საქართველოს ყველა კუთხის ნახვის შემდეგ ვინახუ-
ლე რაჭა, რომ ჩემი მოგზაურობა სანატრელი მხარის
ნახვით დამესრულებინა...

აკაკი.

ხარობს რაჭა, ადის ლაჟვარდ ცამდის,
ამ სანატრელ ამბავს გული ველარ იტევს...
რაღაც ხმები ზღაპარივით ლობე-ლობე დადის,
დაატარებს ყველასათვის გასახარელ სიტყვებს.
ყველა უხმობს ახლო მყოფილთ... ემზადება ხალხი,
დასახვედრად იჩქარიან ასკრიონის კართან.
სოფლად დარჩნენ მარტოოდენ ცარიელი სახლნი,
დიდ აკაკის შესახვედრად ყველა გაემართა.
როს გამოჩნდა მეჩონგურის სხივის მფრქვევი სახე,
ხალხი დიდი სიხარულით მისკენ გაემართა...
ყველასათვის საყვარელო! ნეტავ მეც მენახე
სიხარულში გახვეული ასკრიონის კართან!

ავთანდილ შიშინაშვილი.

თბილისი, მე-46 სკოლა.

შეხვედრა მგოსანთან

ეს მოხდა ახლა, მტრედისფერ დილით,
მღეროდა ლექსი, როგორც ფრთოსანი...
თოვლით ნაბარდნი ნაძვის ღიმილით
მომიახლოვდა დიდი მგოსანი.
მღიმარე მოხუცს შევხედე ისე,
დილით რომ მზისთვის შემიხედია...
მის თვალში ცეცხლი ღვიოდა ისევ,
გულიც უცემდა მაღალმკერდიანს.
„დიდო მგოსანო! — ვთქვი უხერხულად: —
„შევარდენივით ფრთაგაშლილი ხარ“...
მანაც მომკიდა ხელი ერთგულად,
მკითხა: — „ახალი ქვეყნის შვილი ხარ?!“
გავშალე გული, მინდოდა მეთქვა,
ყველაფრის თხრობა მეწყო თავიდან...
მითხრა: — ვიციო მაგ გულის ფეთქვა,
სამჯერ მაკოცა და მსწრაფლ წავიდა.
ჰოი, იმ წუთებს მე ახლაც ვნატრობ,
ისე უეცრად რომ განვიცადე...
ასე მეგონა, მე ვიყავ მარტო
დაუსრულებელ მიწიდან ცამდე.

შალვა ბაქიძე.

თბილისის მოზრდილთა 1 სკოლა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკის საჯრეზო.

ლამაზია ზაფხულის ღამე!

სძინავს სატრფოს. ნანას უმღერის მდინარე მტკვარი. ცად აზიდული მთები ბანს აძლევენ, ტოტებგაშლილი ხეები მდუმარედ დასცქერიან და შემდეგ მის ქება-დიდებას მოჰყვებიან:

— ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო—ჩურჩულებს ნიავი.

— მშვენიერო, შენ გეტრფი.—კისკისებს მტკვარი. მოციმციმე ვარსკვლავები ღიმილით დაჰყურებენ ჯერ არ ნახულ, უცნობი ბუნების დედოფალს. მთვარე კი ნაზად უყოცნის კალთებს და მძინარის სახეზე კითხულობს მის ტანჯვის ისტორიას.

ნაძვები, ნაძვები, მაღალი ნაძვები, მდუმარე ნაძვები!

უყურებს მთვარე სატფროს მომღიმარი თვალებით და აგონდება...

გაღიმა მთვარეს, გადახედა აკაკის საფლავს და შემოხვია ნათელი ხსივები. შეგროვდნენ ვარსკვლავები ჯგუფ-ჯგუფად, ააციმციმეს თვალები და ცის გუმბათზე ამოკარგეს სახელი: ა კ ა კ ი.

ალიონზე მორცხვმა მზის ხსივებმა ჩაიკრეს გულში სატრფო, დაუკოცნეს ბადრი და ლამაზი პირისახე. გრილმა სიო მ სიცელქით გაინავარდა, მონახა აკაკის საფლავი და ჩურჩულით ამცნო თავისი სატრფოს გამარჯვება.

თბილისის მე-12 სკოლის მოსწ. **მანანა კუბუხიძე.**

შინაარსი

		გვ.
1.	აკაკი წერეთელი,—ძველ სამეფოს (ნაწყვეტი ლექსიდან)	1
2.	აკაკი წერეთელი,—მოსწავლე და მასწავლებელი (ამბავი)	2
3.	აკაკი წერეთელი,—გაბაფუნული (ლექსი)	3
4.	შალვა დადიანი,—დიდი ბაბუა (მოგონება)	4
5.	გალაკტიონ ტაბაძე,—აკაკი წერეთლის ბავშვობა და ყრმობა (ნაწყვეტი პოემიდან)	5
6.	ვ. კარსანიძე,—მისი სიყრმის ლექსები (მოგონება)	6
7.	ლადო ბზვანელი,—ერთ ლიტერატურულ საღამოზე (მოგონება)	7
8.	სოლომონ ცაიშვილი,—მაინც უდიპლომოდ (ნარკვევი)	7
9.	სანდრო ეფერტი,—სტუმრად ილიასთან (ლექსი)	8
10.	აკაკის ფსევდონიმები	9
11.	დარია ახვლედიანი,—დამიწუნეთ? (მოგონება)	9
12.	ნიკო გვარაძე—ჩემი პირველი რეფისორი (მოგონება)	10
13.	ჯ. შარაბიძე,—ტბილი მოგონება	11
14.	შალვა თაბუკაშვილი,—აკაკი.... აკაკი...! (მოგონება)	13
15.	ნიკოლო ნაგრელი—ორი მტევანი (ნარკვევი)	13
16.	მაზვილი სიტყვები,—შეკრებილი ლ. ჭიჭინაძის მიერ	15
17.	თ. ზ.—აკაკის მთარგმნელი—პარტელ ლასტი	15
18.	ნორჩ ავტორთა შემოქმედება	16
19.	პატარა კანი (სურათი)	გარეკანის მე-4 გვ.

პასუხისმგებელი რედაქტორი ან. დულარიძე
პასუხისმგებელი მდივანი ნ. სირბილაძე

ჟურნალი გაფორმებულია მხატვრების
ი. ქოქიაშვილისა და ვ. ჯაფოშვილის მიერ

გადაეცა წარმოებას 25/V-40 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად

ქაღალდის ზომა 60×92
ფორმათა რაოდენობა 20 გვ. 9½×14

მთავლიტის რწმუნ. № ა—2305. ტირ. 10.900. შკვ. № 662. პოლიგრაფკომბინატის სტამბა „კომუნისტი", ლენინის ქ. № 28.

ი ჵ3/321

Груз. ж3

Пионери

1470

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 50 კაპ.

აკაკი წერეთლის საიუბილეო დღეებისათვის, თბილისის ქართულმა მოზარდ მაყურებელთა თეატრმა თავის მაყურებლებს უჩვენა აკაკის ისტორიული პიესა. „პატარა კახი“.

პიესა დადგა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ალ. თაყაიშვილმა.

სურათზე: მსახიობი ვ. ნინუა პატარა კახის როლში.

„პიონერი“ საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და განსახკომის ერთთვიური ჟურნალი.
„Пионери“ Журнал Центрального Комитета ЛКСМ и Наркомпроса Грузии.

1940 წ. ივნისი. № 6.

გამომცემლობა „კომუნისტი“. რედაქციის მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 34, ტელ. 3—02—61